# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

N 94 2017 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

**„ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №44 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/01/2011, 010220020.10.003.016205) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„დანართი №1**

**ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შემადგენლობა**

**ქეთევან ციხელაშვილი** – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;

**პეტრე კანკავა** – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**გენადი არველაძე** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

**ნიკოლოზ გაგუა** – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

**ილია ელოშვილი** – საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე;

**სოლომონ პავლიაშვილი** – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;

**ნოდარ კერესელიძე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;

**კახაბერ გულედანი** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;

**დავით დონდუა** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

**გოჩა ლორთქიფანიძე** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

**ლია გიგაური** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

**ლევან ხარატიშვილი** – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;

**აკაკი ლოდია** – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

**ზაზა სოფრომაძე** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;

**მამუკა ცოტნიაშვილი** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე;

**ალექსანდრე ტაბატაძე** – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე;

**მარიამ რაქვიაშვილი** – ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

**დავით გვაძაბია** – ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი;

**ზურაბ ანთაძე** – ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

**თინათინ ღოღელიანი** – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

**გიორგი თუმანიშვილი** – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის მდივანი.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**